# ვებ-სუპერფინის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა / სავალუტო ოპერაცია


**ვიდეო ინსტრუქციები youtube-ზე** 1
**საჭირო (ახალი) ქვეანგარიშების დამატება** 1
**საბუღალტრო ოპერაციის დამატება** 2


## ვიდეო ინსტრუქციები youtube-ზე

[ვებ-სუპერფინის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა - სავალუტო ოპერაცია](https://www.youtube.com/watch?v=LKYToXklTf8&list=PLbTmcFV_bEA4DB0g8VI1AWPwtxGc99uN5)
https://www.youtube.com/watch?v=LKYToXklTf8&list=PLbTmcFV_bEA4DB0g8VI1AWPwtxGc99uN5

[ყველა ვიდეო ინსტრუქცია youtube-ზე](https://www.youtube.com/playlist?list=PLbTmcFV_bEA7fabiDXz2rWZ6JPrvJs_ta)
https://www.youtube.com/playlist?list=PLbTmcFV_bEA7fabiDXz2rWZ6JPrvJs_ta

## საჭირო (ახალი) ქვეანგარიშების დამატება

- 'სწრაფი ზოლის' მენიუდან გახსენით - **ანაგრიშთა გეგმა (F9);**
- 1410 ანგარიშზე დაამატეთ მყიდველის ანგარიში;
  - ნომერი - **001**, დასახელება - **სატესტო2**



- 3330 ანგარიშზე დაამატეთ მიწოდების ოპერაციებზე გადასახდელი დღგ-ის ანგარიში;
    - ნომერი - **001**, დასახელება - **გადასახდელი დღგ - მიწოდებაზე**



## საბუღალტრო ოპერაციის დამატება

- ‘სწრაფი ზოლის’ მენიუდან გახსენით - **საბუთები (ALT+SHIFT+W);**



- ინსტრუმენტების ზოლში დააჭირეთ ღილაკს - **‘ახალი საბუთი’ (ALT+N);**




- მიუთითეთ საბუთის თარიღი - **20/07/2024;**
- ‘პროექტი’ - ავტომატურად შევსებულია, რადგან ორგანიზაციაში არის ერთი პროექტი;
- მიუთითეთ საბუთის თემა - **ვებ-სუპერფინის დისტანციური საკონსულტაციო მომსახურება;**
- პლიუს ღილაკზე დაჭერით (ALT+N) გამოიძახეთ ახალი საბუღალტრო გატარება;
- ველში ‘დებეტი’ მიუთითეთ მყიდველის ‘სატესტო2’ ანგარიში - **1410\001** და ვალუტა - **USD**;
- ველში ‘კრედიტი’ მიუთითეთ ‘რეალიზაციის’ ანგარიში - **6110;**
- ველში ‘თანხა ნომინალში’ მიუთითეთ რეალიზაციის თანხა ნომინალურ ვალუტაში - **100** და ვალუტა - **USD**;
- ‘კურსის’ ველი ავტომატურად ივსება საბუთის თარიღში მოქმედი ოფიციალური კურსით, საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ შეცვალოთ იგი - **‘3’;**
- ველში ‘თანხა ძირითად ვალუტაში’ ავტომატურად დაანგარიშდება სავალუტო თანხის ექვივალენტი თანხით ეროვნულ ვალუტაში - **300 ლარი;**
- ‘დღგ-ის გატარების’ მარტივად დასამატებლად დააჭირეთ **‘გატარების დუბლირების’ (ALT+C)** ღილაკს და შეცვალეთ მხოლოდ საჭირო ველები:
  - ველში ‘კრედიტი’ მიუთითეთ მიწოდებაზე გადასახდელი დღგ-ის **ანგარიში - 3330\001 GEL**;
  - ‘თანხა ნომინალში’ - ჩამოშალეთ ‘მზა პროცენტული მნიშვნელობები’ და აირჩიეთ 18%;
  - ‘თანხა ძირითად ვალუტაში’ ასევე ავტომატურად დაანგარიშდება სავალუტო თანხის ექვივალენტი თანხა ეროვნულ ვალუტაში - **54 ლარი**.




- საბუთის შექმნა დაასრულეთ შენახვის ღილაკზე დაჭერით (ALT+ENTER).